ხელშეკრულება N01-11
(CPV98111000 კომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები)

ქ. თბილისი 04 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ *სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო* (შემდგომში - ,,ლიცენზიატი") წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორე მხრივ საავტორო უფლების მქონე პირი ირინა რუხაძე (შემდგომში - ,,საავტორო უფლების მფლობელი") ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანების მე-10 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2013 წლის 08 აპრილს გაფორმებული №01 და №02 ლიცენზიის და განსაკუთრებული ლიცენზიის, ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული N01-6 და N02-6 შეთანხმებების შესაბამისად და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 06 ოქტომბრის №119 ბრძანების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელისათვის ჰონორარის სახით გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10% (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) გადახდა საავტორო უფლების მფლობელის მიერ წერილობით წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

2.ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულება მოცემულია დანართი N1-ში.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

<u>1. საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია:</u>

ა)მოსთხოვოს ლიცენზიატს ჰონორარის სახით გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10%-ის გადახდა მის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

ბ) მოსთხოვოს ლიცენზიატს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

<u>2. საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია:</u>

ა) წარუდგინოს ლიცენზიატს ის საბანკო რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარის გადარიცხვა;

ბ) დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და პირობები.

<u>3. ლიცენზიატი უფლებამოსილია:</u>

ა) მოსთხოვოს საავტორო უფლების მფლობელს საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენა.

ბ) სააავტორო უფლების მფლობელის მიერ საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენამდე არ განახორციელოს ჰონორარის გადარიცხვა.

4. ლიცენზიატი ვალდებულია:
ა) საავტორო უფლების მფლობელს, ჰონორარის სახით გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10%.
ბ) დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და პირობები.
3. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო უფლების მფლობელის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, არა უგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა.
2.საავტორო უფლების მფლობელს, ჰონორარის სახით გადაერიცხება გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10%, რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 10217.86 (ათი ათას ორას ჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ჰონორარი მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
4. ანგარიშსწორება განხორციელდება საავტორო უფლების მფლობელის მიერ საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ან მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადავადდება აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

მუხლი 6. დამატებითი პირობები

1.წინამდებარე ხელშეკრულებას დაერთვის დანართი N1, რომელიც წარმოადგენს მის არსებით შემადგენელ ნაწილს.

2. წინამდებარე ხელშეკრულებისან გამომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეუთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

<u>ლიცენზიატი:</u>

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო''
მის.: ქ.თბილისი, მ.ალექსიძის ქ.№1
ს/კ 202294980, სახ. ხაზინა: ა/ა200122900
კოდი 220101222
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი შალუტაშვილი

<u>საავტორო უფლების მფლობელი:</u>

ფ/პ ირინა რუხაძე
მის.:ქ. თბილისი, ფალიაშვილის №17
პ/ნ 01019004499
ს.ს „თი ბი სი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. GE06TB7966636010100009

ირინე რუხაძე

დანართი 1

გამომცემლობა	რაოდენობა წიგნი	რაოდნეობა რვეული	ფასი წიგნი	ფასი რვეული	სულ თანხა	**10%**
საავტორო უფლების მქონე პირი ირინა რუხაძე	16372	33954	48446.19	37262.45	85708.64	8570.864
	3294		16470		16470	1647
						10217.86